

# ლეგიტიმაცია და ნდობა: რას ეფუძნება სასამართლოს ძალაუფლება?

ავტორი: სოფო ვერძეული

## 1. ხალხის და სასამართლოს მიმართება

სასამართლოს ძალაუფლების წყაროს იდენტიფიცირება პოლიტიკური სამართლის დისკუსიების მნიშვნელოვანი ნაწილია. ერთეული გამონაკლისის გარდა, სასამართლო ძალაუფლებას არ იღებს და არ განიმტკიცებს არჩევნების გზით. თუკი ხელისუფლების პოლიტიკური შტოები საზოგადოებრივ უმაცოფილებას ან კრიზისს, რეგულარული ან ვადამდელი არჩევნებით უპასუხებენ, სასამართლოს არ აქვს ხელახალი ლეგიტიმაციის მიღების ამგვარი მექანიზმი. ამდენად, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს მისი “ლეგიტიმაციის ეროზიის” საფრთხე.<sup>1</sup> ლეგიტიმაციის და ნდობის კრიზისი რთული ფენომენია მართლმსაჯულების ორგანოებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ “ახალი ლეგიტიმაციის სტრატეგიები”, რადგან, როგორც ითქვა, განახლებულ ლეგიტიმაციას საზოგადოებისგან არჩევნების გზით ვერ იღებენ.<sup>2</sup>

ეს თითქოს ღრმად თეორიული საკითხი, არაერთ პრაქტიკულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტს უკავშირდება. სასამართლოს ძალაუფლება მიემართება როგორც ნორმატიულ მოცემულობას - ანუ სასამართლოს ფორმალურ ლეგიტიმაციას გადაწყვიტოს დავა, ასევე სოციოლოგიურ განზომილებას - ხელისუფლების სხვა შტოებმა და საზოგადოებამ მიიღონ და აღიარონ სასამართლოს ძალაუფლება და შეასრულონ მისი გადაწყვეტილებები.<sup>3</sup> ამდენად, სასამართლო ორგანოებისთვის ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი “მთავარი პოლიტიკური კაპიტალია”.<sup>4</sup>

ამ მსჯელობაში, განსაკუთრებით საყურადღებოა ხალხის და სასამართლოს მიმართების და ამ ურთიერთობის სპეციფიკურობის განხილვა. ზოგიერთი ავტორი ამ საკითხის განხილვისას აანალიზებს კავშირს “ხალხის სახელით” გადაწყვეტილების გამოტანასა და სასამართლოს სახალხო

<sup>1</sup> Mohr, Richard and Francesco Contini. “JUDICIAL EVALUATION IN CONTEXT: PRINCIPLES, PRACTICES AND PROMISE IN NINE EUROPEAN COUNTRIES”, *Eur. J. Legal Stud.*, 2007, p.259.

<sup>2</sup> Bergoglio, María Inés. “NEW PATHS TOWARD JUDICIAL LEGITIMACY: THE EXPERIENCE OF MIXED TRIBUNALS IN CÓRDOBA”, *SOUTHWESTERN JOURNAL OF LAW AND TRADE IN THE AMERICAS*, Vol. XIV, 2007, p.102.

<sup>3</sup> Bassok, Or. “The Supreme Court at the Bar of Public Opinion Polls”, *Constellations*, Vol. 23, 2016, p.4.

<sup>4</sup> Bühlmann, Marc and Ruth Kunz. “Confidence in the Judiciary: Comparing the Independence and Legitimacy of Judicial Systems”, *West European Politics*, Vol. 34, No.2, 2011, p.318.

მხარდაჭერას შორის.<sup>5</sup> ამ შემთხვევაში მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ ვინ იგულისხმება “ხალხში” და რა მიმართება არსებობს სასამართლოსა და ხალხს შორის. ავტორთა გარკვეული ნაწილი ამ კითხვას ასე პასუხობს - როდესაც სასამართლო მოქმედებს “ხალხის” სახელით, ამ შემთხვევაში “ხალხი” გულისხმობს კოლექტიურ პოლიტიკურ ერთობას და ის სახალხო სუვერენიტეტის გამოხატულებაა; ეს კი განსხვავდება “ხალხის” იმ გაგებისგან, რომელსაც, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის კვლევები მოიაზრებს.<sup>6</sup> სასამართლოსთან მიმართებით “ხალხი” ორი შინაარსით შეიძლება იყოს გაგებული: ხალხი, როგორც სუვერენი და ხალხი, როგორც სასამართლოს მომხმარებელი, რომელიც კონკრეტულ ინტერესს იცავს სასამართლოს მეშვეობით.<sup>7</sup>

ხალხისა და სასამართლოს მიმართება რთული და თითქოს წინააღმდეგობრივი ფენომენია. დემოკრატიულ სისტემაში სასამართლო ემსახურება სახალხო ინტერესს, თუმცა პირდაპირ არ აირეკლავს საზოგადოების განწყობებს. სხვა სიტყვებით - სასამართლო ასრულებს მის როლს ხალხის, როგორც კოლექტიური პოლიტიკური ერთობის, მისწრაფებებისა და სადამფუძნებლო შეთანხმებების მიღწევაში; თუმცა, ამავე დროს ის დისტანცირებულია მასების განწყობებისა და გავლენებისგან.<sup>8</sup> ამ გაგებით, ის არის სახალხო, თუმცა არა პოპულისტური ინსტიტუტი. მაგალითისთვის, მართლმსაჯულების ორგანოების მისია, პარლამენტისგან განსხვავებით, არ არის საზოგადოების “დღევანდელი უმრავლესობის” წარმოდგენა.<sup>9</sup> ამდენად, მისი ძალაუფლება ეფუძნება არა არჩევნებით მიღებულ ლეგიტიმაციას, არამედ იმ გააზრებას, რომ ის “ქმნის აწმყოს” და ასრულებს სუვერენი ხალხის ნებას და ღირებულებებს, რომელიც საკანონმდებლო სივრცეშია გამოხატული.<sup>10</sup> ეს, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი დათქმა, სასამართლოს ძალაუფლების წყაროს ამოხსნის ქვაკუთხედი შეიძლება იყოს. ის ეფუძნება სასამართლოს სპეციფიკურ ბუნებას, რომელიც აგებულია განსაკუთრებული საზოგადოებრივი დანიშნულების, პროფესიული ცოდნისა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის ერთობლიობაზე.

ეს არის სივრცე, სადაც ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება ფორმალური ძალაუფლების და ფაქტობრივი აღიარების საჭიროება. ამ ორი კომპონენტის თანაარსებობის გარეშე, დამოუკიდებელი, ეფექტიანი და ავტორიტეტული სასამართლოს არსებობა რთულად წარმოსადგენია. ამდენად, ამ დისკუსიაში თავიდანვე ძალაუფლების ორი ასპექტის მიმართებაა ამოსახსნელი - ლეგიტიმაციისა და ნდობის. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ტერმინები იდენტური

<sup>5</sup> Bassok, Or. “The Schmitelsen Court: The Question of Legitimacy”, *German Law Journal*, Vol. 21, Issue 2, 2020, p.158.

<sup>6</sup> Bassok, Or (n 5) p.158.

<sup>7</sup> Mohr, Richard and Francesco Contini (n 1), p.260.

<sup>8</sup> *ibid* p.260.

<sup>9</sup> Kelemen, R. Daniel. ‘Eurolegalism and Democracy’, *Journal of Common Market Studies* 50, 2012, p.65.

<sup>10</sup> Mohr, Richard and Francesco Contini (n 1), p.260.

მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, მათი შინაარსი და მოცულობა განსხვავებულია.<sup>11</sup> ისინი შესაძლოა ავსებდნენ ან განსაზღვრავდნენ ერთმანეთს. ასე მაგალითად, ლეგიტიმაციამ შესაძლოა საფუძველი შეუქმნას საზოგადოების ნდობას.<sup>12</sup> თავის მხრივ, პროცედურული სამართლიანობის თეორიაში ნდობა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია საჯარო ლეგიტიმაციის მისაღწევად.<sup>13</sup> ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ლეგიტიმაცია ინსტიტუციური ძალაუფლებისა და როლის დადგენას/აღიარებას მიემართება, ნდობა კი - ამ როლის შესრულებას.<sup>14</sup>

## 2. სასამართლოს ლეგიტიმაციის შინაარსი

სასამართლოს დემოკრატიული ლეგიტიმაციის შესახებ დისკუსია, ისტორიულად, დაკავშირებული იყო პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობის რევიზიის ფუნქციასთან - საკონსტიტუციო მართლმსაჯულებასთან. ეს დისკუსია კი ძირითადად მიემართებოდა კითხვას - რამდენად გამართლებული იყო ხალხის წარმომადგენლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასიჯვა იმ ორგანოების მხრიდან, რომლებიც ასეთი მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. თუმცა, სასამართლოების (მათ შორის, საერთო სასამართლოების) მანდატის და როლის გაფართოებამ, სამართლის და მართლმსაჯულების სფეროში არაერთი პოლიტიკური საკითხის გადატანამ, არსებითად პოლიტიკური საკითხების სასამართლოების განსჯადობის ქვეშ მოქცევამ (იურიდიფიკაციის ტენდენციამ), ეს დისკუსია გააფართოვა.<sup>15</sup> იმ პირობებში, როცა მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლოების გავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ლეგიტიმაციის შესახებ დისკუსია ყველა სახის სასამართლოსთვის გახდა აქტუალური.

ამ საკითხის ისტორიული შინაარსის გათვალისწინებით, ზოგიერთი ავტორი, ლეგიტიმაციის საკითხის განხილვისას, უბრუნდება ჰანს კელზენისა და კარლ შმიტის თეორიების შედარებას და დისკუსიას იწყებს ტრადიციულად კონტრავერსიული სააზროვნო ჩარჩოების წარმოდგენით: რას ემყარება სასამართლოს ლეგიტიმაცია? მოსამართლის პროფესიულ ცოდნას/ექსპერტიზას თუ მის

<sup>11</sup> Wallace, Anne and Jane Goodman-Delahunty. "Measuring Trust and Confidence in Courts", *International Journal for Court Administration* 12(3), 2021, p.3.

<sup>12</sup> Loth, Marc. "Courts In Quest For Legitimacy: A Comparative Approach", *Boom Uitgevers*, 2007, p.2.

<sup>13</sup> Wallace, Anne and Jane Goodman-Delahunty (n 11) p.6.

<sup>14</sup> Jackson, J., Kuha, J., Hough, M., Bradford, B., Hohl, K. and Gerber, M. "Trust and legitimacy across Europe: a FIDUCIA report on comparative public attitudes towards legal authority", *FIDUCIA*, 2013, p.5.

<sup>15</sup> Hondius, E. and Joustra, C. (red.), Netherlands Reports to the Sixteenth International Congress of Comparative Law, *Intersentia, International Law Series*, 2002, p.3.

სახალხო მხარდაჭერას? <sup>16</sup> სხვა სიტყვებით: ნორმატიულ ლეგიტიმაციას თუ სოციოლოგიურ ლეგიტიმაციას.<sup>17</sup> შმიტი სასამართლოს უწუნებდა შესაძლებლობას, ეფექტიანად დაპირისპირებოდა ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს, მაშინ როცა თავად ასეთი მხარდაჭერა არ გააჩნდა.<sup>18</sup> კელზენი კი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს პოლიტიკური სისტემისგან/რეჟიმისგან დამოუკიდებელი ლეგიტიმაცია არც სჭირდებოდა. პოზიტივიზმის თეორიაში, ძალაუფლება ემყარება და მომდინარეობს უფლებამოსილებიდან, სამართლებრივი სისტემის მიერ მინიჭებული კომპეტენციიდან. ამდენად, ლეგიტიმაცია ფაქტობრივი მოცემულობაა და ის ლეგალურობას უთანაბრდება.<sup>19</sup>

ლეგიტიმაციის წყაროს შესახებ დისკუსია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ეტაპობრივად იცვლიდა ელფერს. თუკი ჰამილტონი სასამართლოს ძალაუფლების ღერძს მის გადაწყვეტილებაში ხედავდა, მოგვიანებით ეს შეცვალა მითითებებმა საჯარო მხარდაჭერისა და ნდობის მნიშვნელობაზე.<sup>20</sup> ეს ცვლილება შესაძლოა უკავშირდებოდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის კულტურის შემოჭრას, რამაც შესაძლებელი გახადა, მათ შორის, არაარჩევითი ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი განწყობების გადამოწმება. ამგვარი ახალი საზომის აღმოჩენა ასევე აისახა პოლიტიკური შტოებისა და სასამართლოს ურთიერთობაზე.<sup>21</sup>

### 3. ლეგიტიმაციის ფორმები და ელემენტები

სასამართლოს ლეგიტიმაციის შემადგენელი ელემენტების სახელდება შეიძლება განსხვავებული იყოს, თუმცა, როგორც წესი, ავტორები გამოყოფენ ლეგიტიმაციის ორ ჯგუფს: შიდა/ინსტიტუციურ ფაქტორებს და გარე/ფუნქციურ ელემენტებს.

ლეგიტიმაციის შემადგენელ ელემენტებად ზოგიერთ წყაროში მოხსენიებულია: დისკურსული, ინსტიტუციური და ფუნქციური ფაქტორებიც. <sup>22</sup> მაგალითად, საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს შესახებ მსჯელობისას, ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სასამართლოს

---

<sup>16</sup> Bassok, Or (n 5) p.132.

<sup>17</sup> ibid p.136.

<sup>18</sup> ibid p.134.

<sup>19</sup> Hondius, E. and Joustra, C. (n 15) p.5.

<sup>20</sup> Bassok, Or (n 3) p.8.

<sup>21</sup> ibid p.17.

<sup>22</sup> Loth, Marc (n 12) p.3.

ლეგიტიმაცია დიდწილად სოციო-ინსტიტუციური ფაქტორების ერთობლიობას ეფუძნება, მათ შორის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და კანონის უზენაესობის პრინციპის, რასაც თან ახლავს, მერიტოკრატიული პროცესის შედეგად, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული სასამართლო.<sup>23</sup> ამერიკის უზენაესი სასამართლოს მაგალითის განხილვისას, იგივე ავტორი, ინსტიტუციურ გარემოს (მოსამართლეთა დანიშვნის პოლიტიკურ ელემენტს) სისუსტედ აფასებს და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ლეგიტიმაციის მთავარ წყაროდ დისკურსულ ფაქტორს ასახელებს.<sup>24</sup>

ლეგიტიმაციის საკითხის განხილვისას ყურადღებას იმსახურებს “შიდა და გარე ფაქტორების” განხილვა.<sup>25</sup> შიდა ფაქტორებში მოიაზრება ლეგიტიმაციისთვის მნიშვნელოვანი ისეთი შიდა-ინსტიტუციური ელემენტები, როგორცაა: მოსამართლეების დანიშვნა, სასამართლოს ორგანიზება და სხვა. გარე ფაქტორები კი გულისხმობს სასამართლოს მიღებულ გადაწყვეტილებებს, საგარეო კომუნიკაციას მხარეებთან და საზოგადოებასთან.<sup>26</sup> ზოგიერთი ავტორი გარე ფაქტორებს სასამართლოს “ფუნქციურ” ლეგიტიმაციას უწოდებს და მასში მოიაზრებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა მოსამართლის მხრიდან პროფესიონალიზმის, დამოუკიდებლობის, უმაღლესი პროფესიული სტანდარტების პატივისცემის დემონსტრირება.<sup>27</sup> ფუნქციური ლეგიტიმაციის შეძენისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკა და ხარისხი, ტექსტის და არგუმენტაციის აღქმადობა, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისთვის ჯეროვანი ყურადღების დათმობა.<sup>28</sup> ამ მხრივ, ფუნქციური ლეგიტიმაცია შეიძლება ლეგიტიმაციის დისკურსულ ასპექტთან მჭიდრო კავშირში იყოს გაანალიზებული.

ლეგიტიმაციის ინსტიტუციურ ფაქტორებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოს ადგილს და მოწყობას კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში, რაც გავლენას ახდენს მთლიანად სასამართლო სისტემის, ცალკეული სასამართლოებისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხზე.<sup>29</sup> დამოუკიდებლობის ინსტიტუციური მექანიზმები ფორმალური ლეგიტიმაციის უპირველესი საზომია. თავის მხრივ, ინსტიტუციური ხასიათის ფაქტორები მოიცავს სასამართლოს ორგანიზებას (კოლეგიური ორგანოების, საბჭოების ან სხვა უწყებების

---

<sup>23</sup> ibid p.4.

<sup>24</sup> ibid p.6.

<sup>25</sup> ibid p.2.

<sup>26</sup> ibid p.2.

<sup>27</sup> Sanders, A. and Luc von Danwitz. “Selecting Judges in Poland and Germany: Challenges to the Rule of law in Europe and Propositions for a new Approach to Judicial Legitimacy”, *German Law Journal*, Vol.19 No.04, 2008, p.807.

<sup>28</sup> ibid p.807.

<sup>29</sup> Loth, M (n 12) p.11.

მემწეობით), ფინანსურ დამოუკიდებლობას, მენეჯერული ხასიათის პროცესებს და რა თქმა უნდა, სასამართლო სისტემის დაკომპლექტებას.

ავტორებს შორის არსებობს თანხმობა იმის შესახებ, რომ მოსამართლის დანიშვნას სასამართლო სისტემის ლეგიტიმაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.<sup>30</sup> მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება “ფორმალური” ლეგიტიმაციის ნაწილია.<sup>31</sup> ამასთან, სხვადასხვა პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურაში არსებულ მოსამართლეთა დანიშვნის მოდელებს თავისი როლი და გავლენა აქვს ლეგიტიმაციის ხარისხზე. მაგალითად, დანიშვნის პოლიტიკური მოდელი (მაგალითად, მოსამართლეთა არჩევა), შესაძლოა დემოკრატიული/პირდაპირი-სახალხო ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხით სარგებლობდეს, თუმცა დამოუკიდებლობის მიმართულებით ამ მოდელს არაერთი პრობლემა აქვს.<sup>32</sup> ამის საპირისპიროდ, დანიშვნის პროფესიული სისტემა დამოუკიდებლობის უფრო მეტ გარანტიას ქმნის, თუმცა შესაძლოა არსებობდეს კრიტიკა სისტემის ჩაკეტილობის და ელიტურობის მიმართ.<sup>33</sup> ამ დისკუსიაში საყურადღებოა ასევე, მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების წევრების (ნაფიცი მსაჯულების მოდელის) მონაწილეობის საკითხი, როგორც ნდობის და ლეგიტიმაციის გაზრდის ერთ-ერთი გზა.<sup>34</sup>

პროფესიული/კარიერული დანიშვნის სისტემებში, ლეგიტიმაციის საზომად ასევე გამოიყენება შემრჩევი ორგანოს დაკომპლექტება, მუშაობის წესები და პროცედურები და ამ ორგანოს ანგარიშვალდებულება.<sup>35</sup> სასამართლოს კომპოზიციის საკითხთან მიმართებით, განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი - რამდენად უნდა ირეკლავდეს სასამართლო კონკრეტული საზოგადოების ფორმაციას. ამ დისკუსიის მიზნებისთვის, ერთ-ერთ ავტორს მაგალითად მოჰყავს სამხრეთ აფრიკის კონსტიტუცია, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო შემადგენლობა ითვალისწინებდეს ამ ქვეყნის გენდერულ და რასობრივ კომპოზიციას.<sup>36</sup>

ზოგიერთი ავტორი შენიშნავს, რომ თანამედროვე ეპოქაში, საზოგადოება უფრო მეტ ყურადღებას აქცევს გარე ფაქტორებს და ამდენად, სასამართლოს ლეგიტიმაციისთვის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს არა მისი გადაწყვეტილება/შინაარსი, არამედ მისი საგარეო კომუნიკაცია.<sup>37</sup> საყურადღებოა ასევე პროცედურული სამართლიანობის ელემენტი ლეგიტიმაციის შექმნის

<sup>30</sup> Rosanvallon, P. “Democratic Legitimacy: Impartiality, Reflexivity, Proximity”, Princeton University Press, 2011, p.155.

<sup>31</sup> Sanders, A. and Luc von Danwitz (n 27) p.805.

<sup>32</sup> Loth, M (n 12) p.12.

<sup>33</sup> ibid p.13.

<sup>34</sup> Bergoglio, María Inés (n 2) p.102.

<sup>35</sup> Loth, M (n 12), p.14.

<sup>36</sup> ibid p.14.

<sup>37</sup> ibid p.5.

პროცესში. პროცედურული სამართლიანობის მნიშვნელობა იზრდება თანამედროვე, მრავალფეროვან და განსხვავებული ინტერესების მქონე საზოგადოებაში, რომელსაც უფრო მეტად უჭირს შეთანხმება სამართლის სუბსტანციურ საკითხებზე.<sup>38</sup> პროცედურული სამართლიანობის როლი სწორედ ამ უთანხმოებების “განეიტრალების” რესურსში მდგომარეობს, რაც მას ინსტიტუციური ლეგიტიმაციის მოპოვების ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად აქცევს.<sup>39</sup>

იმ პირობებში როცა მზარდია სასამართლოების პოლიტიკური როლი, ბუნებრივია წუხილი მათი დემოკრატიული/სახალხო ლეგიტიმაციის საჭიროებაზე. ამასთან, კრიზისების და საზოგადოებრივი უკმაყოფილების საპასუხოდ, ერთი შეხედვით, მომხიბვლელი შეიძლება ჩანდეს სასამართლოების დაკომპლექტებაში სახალხო და პოლიტიკური ჯგუფების მონაწილეობის გაზრდის იდეაც. თუმცა, ეს საკითხი განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, თანამედროვე სასამართლოებისთვის ფორმალური ლეგიტიმაციისა და საზოგადოებრივი ნდობის ელემენტები ერთმანეთს მხოლოდ ავსებენ, თუმცა ვერ ანაცვლებენ. ეს მსჯელობა მჭიდრო კავშირშია სასამართლოების „დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების პარადოქსთანაც“, რომელიც საკითხის სირთულეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.<sup>40</sup>

კერძოდ, მსგავს დისკუსიებში ყურადღებას იმსახურებს, ერთი მხრივ, სასამართლოს დემოკრატიული ლეგიტიმაციის გაძლიერების საკითხი, მეორე მხრივ, მისი როგორც არაპოპულისტური ინსტიტუტის ბუნების დაცვა. ამ სიფრთხილის აუცილებლობაზე მიუთითებს ბოლო წლების ზოგიერთი გამოცდილებაც, როდესაც ხალხის და სასამართლოს დაახლოების (სახალხო ლეგიტიმაციის გაზრდის) სახელით, პოლიტიკურმა ჯგუფებმა ფუნდამენტური რისკები შეუქმნეს სასამართლოს დამოუკიდებლობას. მაგალითისთვის, პოლონეთის იუსტიციის მინისტრი, სასამართლო სისტემის ინსტიტუციური გარემოს არსებითი გაუარესების პირობებში, მისი პოლიტიკური გუნდის მიერ ინიცირებული რეფორმის მიზნად “სასამართლოს ხალხისთვის დაბრუნებას” ასახელებდა.<sup>41</sup> ამგვარი პოპულისტური სვლებისა და მაჟორიტარიზმის პრინციპის

<sup>38</sup> *ibid* p.4.

<sup>39</sup> Ruibal, Alba. “The Sociological Concept of Judicial Legitimacy: Notes of Latin American Constitutional Courts”, *Mexican Law Review*, Vol.3(2), 2010, p.354.

<sup>40</sup> Shapiro, M. ‘Judicial Independence: New Challenges in Established Nations’, *Indiana Journal of Global Legal Studies* 20, 2013, p. 264.

<sup>41</sup> Sanders, A. and Luc von Danwitz (n 27) p.782.

გაძლიერების საპასუხოდ, სასამართლოს მთავარ იარაღად მისი ძლიერი ლეგიტიმაცია და სახალხო მხარდაჭერა რჩება.<sup>42</sup>

ამ მსჯელობის შეჯამებისთვის საინტერესო შეიძლება იყოს ზოგიერთი ავტორის მიერ განხილული კონსენსუსის იდეა, როგორც პირდაპირი სახალხო ლეგიტიმაციის ალტერნატივა მართლმსაჯულების რგოლისთვის.<sup>43</sup> მრავალმხრივი თანხმობით სასამართლოს დაკომპლექტების იდეა პასუხობს, ერთი მხრივ, ტექნოკრატიზაციის ნაცვლად დემოკრატიული ლეგიტიმაციის გაზრდის საჭიროებას, მეორე მხრივ კი - აბალანსებს მაჟორიტარიზმის გამოწვევებს, რაც არანაკლები საფრთხეა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის.

#### 4. საზოგადოებრივი ნდობა - ძალაუფლების აუცილებელი კომპონენტი

საზოგადოებრივი ნდობა შეიძლება განიმარტოს როგორც “პოზიტიური მოლოდინი მოსამართლის და სასამართლოს საქმიანობის მიმართ.”<sup>44</sup> ამგვარი ნდობის ჩამოყალიბებას შეუძლია შეამციროს მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ “მოკლევადიანი უკმაყოფილებები”.<sup>45</sup> სხვა სიტყვებით, თუკი სასამართლოს დამოუკიდებლობა ინსტიტუციონალიზებულია და ასახულია საზოგადოებრივ ნდობაში, ცალკეულ სამართლებრივ დავებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობრივ დისკუსიებს, არ შეუძლია მარტივად შეარყიოს სასამართლოს რეპუტაცია. ასეთი დაცვის არარსებობის პირობებში კი, ყოველგვარი საკამათო საკითხი ნდობის კრიზისად შეიძლება ექცეს სასამართლოს. მიიჩნევა, რომ საზოგადოების ნდობას გავლენა აქვს როგორც სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების მაჩვენებელზე, ასევე თავად მოსამართლეების თვითშეფასებასა და მათი მუშაობის ეფექტიანობაზე.<sup>46</sup> ასევე, საზოგადოების მხარდაჭერის ნაკლებობა, სასამართლოს უფრო მოწყვლადს ხდის პოლიტიკური ხელისუფლების ზეწოლის მიმართ.<sup>47</sup> მიიჩნევა, რომ ნდობით აღჭურვილი სასამართლოები და „მსხვრევადი” რეპუტაციის

<sup>42</sup> Garoupa, Nuno and Pedro C. Magalhães, “Public Trust in the European Legal Systems: Independence, Accountability, and Awareness”, an Accepted Manuscript of an article published by Taylor & Francis in West European Politics, 2020, p. 1.

<sup>43</sup> Rosanvallon, P. (n 30) p.163.

<sup>44</sup> Andersson-Trontti, J., Harakka, K. and Pyöriä, M. “How to maintain and increase public confidence in the judiciary”, 2019, p.5.

<sup>45</sup> *ibid* p.5.

<sup>46</sup> PERŠAK, N. “Procedural Justice Elements of Judicial Legitimacy and their Contemporary Challenges”, *Oñati Socio-legal Series*, v. 6, n. 3, 2016, p. 752.

<sup>47</sup> *ibid* p.753.



სასამართლოები ერთმანეთისგან განსხვავებულად იქცევიან მართლმსაჯულების განხორციელების დროს.<sup>48</sup>

როგორც ზემოთ აღნიშნა, სასამართლოს ძალაუფლების საკითხი, ლეგიტიმაციასთან ერთად, ეტაპობრივად მჭიდროდ დაუკავშირდა საზოგადოებრივ ნდობას. ეს ყოველთვის ასე არ იყო, მათ შორის, იმ დრომდე სანამ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მექანიზმის შემუშავება არ მოხდა.<sup>49</sup> ამ დრომდე, ხელისუფლების პოლიტიკური შტოები ასრულებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს ისე, როგორც „პაციენტი მიყვება ექიმის დანიშნულებას”,<sup>50</sup> სასამართლო ხელისუფლება კი პოლიტიკური სისტემის/რეჟიმის ზოგადი დემოკრატიული ლეგიტიმაციით სარგებლობდა.<sup>51</sup> ლიტერატურაში, სამედიცინო სფეროსა და სასამართლოს ამგვარი შედარება სწორედ სპეციფიკური, დარგობრივი ექსპერტიზის მნიშვნელობაზე მიუთითებდა. გასათვალისწინებელია საზოგადოების წარმოდგენაში სასამართლოს სიმბოლური და ერთგვარი მითითური იმიჯიც, სხვა სიტყვებით - “მანტიის კულტი”, რაც გარკვეულწილად მას ავტომატურ აღიარებას ანიჭებდა.<sup>52</sup> თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი წარმოდგენა ძლიერია მანამ, სანამ თავად სასამართლო ამ სპეციფიკურობას და სიმბოლურობას ინარჩუნებს და მოსამართლეები პოლიტიკოსებისგან განსხვავდებიან.<sup>53</sup> კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ სასამართლოების დიდი დოზით შემოჭრამ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ერთგვარად ეს განსხვავებები გააუფერულა და სასამართლოს ძალაუფლების ახალი წყაროს - ნდობის - მოპოვების ინტერესი გაუჩინა.

ზოგიერთი ავტორი, საზოგადოებრივი აზრის ამ დოზით შემოჭრას სასამართლოს ძალაუფლების განსაზღვრაში, უკავშირებს სასამართლოების შესახებ აქამდე არსებული ლოგიკის არსებით ცვლილებას და აღნიშნავს, რომ ამ დოზით რაოდენობრივი მონაცემების დომინირებამ შესაძლოა საერთოდ შეცვალოს მანამდე არსებული წარმოდგენა და ლოგიკა სასამართლოზე.<sup>54</sup> ამას უკავშირდება აზრი იმის შესახებაც, რომ ინსტიტუციონალიზებულ პროცედურებზე მეტად, სასამართლოს ლეგიტიმაციას მის შესახებ არსებული “ინდივიდუალური რწმენა” განსაზღვრავს.<sup>55</sup> საინტერესოა მოსაზრებაც, რომ 1960-იანი წლებიდან, კონსიუმერიზმის კულტურის ფართოდ

<sup>48</sup> Gibson, James L. and Michael J. Nelson, “CHANGE IN INSTITUTIONAL SUPPORT FOR THE U.S. SUPREME COURT: IS THE COURT’S LEGITIMACY IMPERILED BY THE DECISIONS IT MAKES?”, Version 62, 2014, p.1.

<sup>49</sup> Bassok, Or (n 3) p.2.

<sup>50</sup> Bassok, Or (n 5) p.145.

<sup>51</sup> *ibid* p.146.

<sup>52</sup> Fuentes-Rohwer, L. “Taking Judicial Legitimacy Seriously”, Chicago-Kent Law Review, Volume 93, 2018, p.509.

<sup>53</sup> *ibid* p.509.

<sup>54</sup> Bassok, Or (n 5) p. 146.

<sup>55</sup> Bühlmann, Marc and RUTH KUNZ (n 4) p.317.

გავრცელებამ, აქტუალური გახადა სასამართლოსთან ურთიერთობის (მიღებული სერვისის) ხარისხის შეფასების საკითხი.<sup>56</sup> ამან შეცვალა აზროვნების მანამდე არსებული სისტემა, რომელშიც ითვლებოდა, რომ ნდობა სასამართლოების მიმართ და მათი პროფესიული ცოდნა თავისთავად აღიარებული და გაზიარებული იყო საზოგადოებაში.<sup>57</sup>

## 5. საზოგადოებრივი ნდობის ელემენტები

სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას შიდა და გარე ფაქტორები განსაზღვრავს. შიდა ფაქტორები შეიძლება უკავშირდებოდეს უშუალოდ სასამართლო პროცესს - მის სამართლიან მიმდინარეობას, გაჭიანურებას, გამჭვირვალობას; გარე ფაქტორები კი პერსონალურ ასპექტებს - ცოდნას, პირად გამოცდილებებს და მედიით ან სხვა საშუალებებით მიღებულ ინფორმაციას.<sup>58</sup> საზოგადოების შეფასებები ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს ზოგადი ეკონომიკური, სოციალური ან უსაფრთხოების რისკებიდან და წუხილებიდან.<sup>59</sup>

სასამართლოს მიმართ საზოგადოების ზოგად განწყობაზე, პირველ რიგში, გავლენას ახდენს ამ სისტემის რეალური ხელმისაწვდომობის ხარისხი, მათ შორის, ფინანსური ტვირთი რაც სამართლებრივი დავის წამოწყებას უკავშირდება.<sup>60</sup> თუმცა, ხელმისაწვდომობა მხოლოდ გეოგრაფიულ, ინფრასტრუქტურულ ან ფინანსურ ფაქტორებს არ გულისხმობს. ხელმისაწვდომობის ცნება, პირველ რიგში, მოიაზრებს მართლმსაჯულების ბუნების “დემოკრატიზაციას” და ისეთი სისტემის შექმნას, სადაც მხარე/დაზარალებული არამხოლოდ იურიდიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, არამედ ის ჩართულია პროცესის მიმდინარეობაში, სადაც მას სათანადო გულისხმიერებით უსმენენ.<sup>61</sup> „ხმაწართმეულობა“ მძიმე გამოწვევაა კომპლექსური სამართლებრივი პროცედურების პირობებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოქალაქე სათანადო იურიდიული წარმომადგენლობით ვერ სარგებლობს.<sup>62</sup>

<sup>56</sup> Wallace, A. and Jane Goodman-Delahunty (n 11) p.2.

<sup>57</sup> *ibid* p.2.

<sup>58</sup> PERŠAK, N. (n 46) p.754.

<sup>59</sup> *ibid* p.755.

<sup>60</sup> *ibid* p.757.

<sup>61</sup> *ibid*.

<sup>62</sup> Wallace, A. and Jane Goodman-Delahunty (n 11) p.13.

სასამართლო სისტემის ფორმაციას და მის რეალურ დამოუკიდებლობას, გავლენა აქვს არამხოლოდ ფორმალური ლეგიტიმაციის ხარისხზე, რაც წინა თავეში იყო განხილული, ის ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოებრივი აღქმების ფორმირებისთვის.<sup>63</sup> ამ საკითხზე მსჯელობისას კარგად ჩანს ლეგიტიმაციისა და ნდობის ურთიერთმიმართება, ისევე როგორც, მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლოს შექმნა, ორგანიზება და საქმიანობა შესაძლოა აკმაყოფილებდეს ლეგიტიმაციისთვის საჭირო კრიტერიუმებს, თუმცა არასაკმარისი აღმოჩნდეს საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებისთვის.<sup>64</sup> სხვა სიტყვებით, ლეგალურობა ლეგიტიმაციისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა მას სრულად ვერ ამოწურავს.<sup>65</sup>

ანალოგიურად, სასამართლოს ზოგიერთმა საკომუნიკაციო სტრატეგიამ შეიძლება პოზიტიურად იმოქმედოს საზოგადოებრივ განწყობაზე, მაგრამ ასეთი გამოცდილება ვერ ინსტიტუციონალიზდება ფორმალური ლეგიტიმაციის სისუსტის შემთხვევაში. როგორც ითქვა, როდესაც სასამართლოს ნდობა ინსტიტუციონალიზებული არ არის, ამ დროს მოკლევადიანი უკმაყოფილებებიც კი, სისტემას შეიძლება ინსტიტუციურ კრიზისად ექცეს.

სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გასაზომად ძირითადად გამოკითხვის ინსტრუმენტი გამოიყენება. ეს შეიძლება იყოს ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფარგლებში დასმული რამდენიმე შეკითხვა სასამართლოს მიმართ ნდობის შესახებ, ან უშუალოდ სასამართლოს შესახებ ჩატარებული უფრო დეტალური გამოკითხვა. ასევე, გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს სპეციფიკურ ჯგუფებში, რომლებსაც აქვთ სასამართლოსთან ურთიერთობის ისტორია და გამოცდილება.<sup>66</sup> მიუხედავად ამ მეთოდის ფართო გამოყენებისა, ავტორები გამოკითხვის მეთოდის შესახებ რამდენიმე სირთულესა და შეზღუდვაზე უთითებენ. პირველ რიგში, ასეთი გამოკითხვის დროს, ადამიანები კითხვაზე პასუხს სცემენ ნდობის შესახებ საკუთარი განწყობის, სუბიექტური შეფასების მიხედვით და შესაძლოა, გამოკითხვისას მათი ნათქვამი არ ემთხვეოდეს რეალობაში მათ ქცევას.<sup>67</sup> მეორე - ასეთი გამოკითხვების დროს ბუნდოვანი რჩება რა კრიტერიუმს/ღირებულებას იყენებენ ადამიანები განწყობის/რწმენის ჩამოყალიბების დროს.<sup>68</sup> მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ „სასამართლოს მომხმარებლების“ გამოკითხვის შედეგები ვერ განზოგადდება საზოგადოების ფართო ჯგუფების

<sup>63</sup> PERŠAK, N. (n 46) p.758.

<sup>64</sup> Wallace, A. and Jane Goodman-Delahunty (n 11) p.6.

<sup>65</sup> Beetham, D. "The Legitimation of Power", Basingstoke : Macmillan Education UK, 1991, p.4

<sup>66</sup> Wallace, A. and Jane Goodman-Delahunty (n 11), p.7.

<sup>67</sup> ibid p.8.

<sup>68</sup> ibid p.8.

განწყობებზე და “აბსტრაქტული” განწყობების კვლევას დამატებითი ღირებულება აქვს სასამართლოებისთვის.<sup>69</sup>

ამდენად, ფართო საზოგადოების ნდობის და განწყობების სისტემატური შემოწმება, გამართული მეთოდოლოგიის მეშვეობით, თავად სასამართლოს ინტერესში უნდა იყოს. თავის მხრივ, ამგვარ გამოკითხვებს აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მზადაა მხედველობაში მიიღოს შედეგები და ინსტიტუციური განვითარების ნაბიჯები ამ შედეგებს დააფუძნოს.

## 6. შეჯამება

ლეგიტიმაცია და ნდობასთან დაკავშირებით ამ სტატიაში განხილული საკითხები, ბუნებრივია, ვერ ამოწურავს სასამართლო ძალაუფლების ყველა ასპექტს. თუმცა, განმარტავს ძალაუფლების ორ საკავნძო ელემენტს - მის ფორმალურ ლეგიტიმაციას და საჯარო აღიარებას, ანუ საზოგადოებრივ ნდობას. როგორც აღინიშნა, ამ ორი კომპონენტის თანაარსებობა მართლმსაჯულების ორგანოებისთვის მთავარი კაპიტალია, რადგან მათ საკუთარი ძალაუფლების განხორციელების სხვა რესურსი არ გააჩნიათ.

თუკი, გარკვეულ ეტაპზე სასამართლოების ლეგიტიმაცია დიდწილად თავისთავადი და აღიარებული იყო, მისი სპეციფიკური ბუნების, პროფესიული და დარგობრივი ცოდნის გამო, დღეს ეს უკვე საკმარისი აღარ არის სასამართლოს დემოკრატიული ლეგიტიმაციისთვის. სასამართლოების მზარდი პოლიტიკური როლი და გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ზრდის კრიტიკას სასამართლო სისტემის მართვის ტექნოკრატიული პროცესების მიმართ და აყალიბებს მოთხოვნას სახალხო ლეგიტიმაციაზე. ეს კი ახალ გამოწვევას ქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ანგარიშავლდებულებას შორის სათანადო ბალანსის მისაღწევად.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის დომინანციამ პოლიტიკაზე, გავლენა მოახდინა სასამართლოს შესახებ მანამდე არსებულ წარმოდგენაზეც. სასამართლოს მიმართ საზოგადოების განწყობების და ნდობის შემოწმება შესაძლებელი გახდა პერიოდულად და ხელისუფლების სხვა შტოებისგან დამოუკიდებლად. ამან, რა თქმა უნდა, შეცვალა როგორც პოლიტიკურ შტოებსა და სასამართლოს შორის, ასევე საზოგადოებასა და სასამართლოს შორის ურთიერთობის ხასიათი. სასამართლოს

---

<sup>69</sup> ibid p.15.

არსებობა უწევს იმ რეალობაში, რომელშიც, გადამწყვეტი არა ინსტიტუციური პროცესების ლეგალურობა ან კომპეტენცია, არამედ ინსტიტუტის საჯარო აღიარება და ნდობაა. ეს ინტერესს უჩენს სასამართლოს, რომ იზრუნოს საზოგადოებრივი ნდობის გაზრდაზე, მით უფრო, რომ საზოგადოების მხარდაჭერა არადემოკრატიული, პოპულისტური პოლიტიკური სვლების წინააღმდეგ მისი დაცვის მთავარი იარაღი შეიძლება იყოს.

თუკი საზოგადოების თვალში, სასამართლოს არ აქვს სათანადო ინსტიტუციური რეპუტაცია, მაშინ მისი დამოუკიდებლობის ფორმალური მახასიათებლების შეფასება აზრს კარგავს. ასეთ ვითარებაში, ნებისმიერი უკმაყოფილება შეიძლება ინსტიტუციურ კრიზისად ექცეს სასამართლოს. ნდობის და ლეგიტიმაციის კრიზისი კი, როგორც ითქვა, განსაკუთრებით რთული გამოწვევაა სასამართლოსთვის, რომელსაც არ შეუძლია ნდობა დაიბრუნოს ხალხისგან განახლებული მანდატის მიღებით.

სტატიაში განხილული საკითხები საყურადღებოა საქართველოს სასამართლო სისტემისთვისაც, რომელმაც ამ დრომდე დამოუკიდებლობის ინსტიტუციონალიზება ვერ მოახერხა და პრაქტიკულად უწყვეტად განიცდის საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან უნდობლობას. სუსტია ლეგიტიმაციის როგორც შიდა-ინსტიტუციური ფაქტორები, რაც სასამართლო სისტემის ორგანიზებას და დაკომპლექტებას უკავშირდება, ისე გარე ფაქტორები. ამას მოწმობს გახმაურებული საქმეების გარშემო მუდმივად მიმდინარე დისკუსიები, საკამათო სასამართლო გადაწყვეტილებები და სისტემის მოწყობისა და მართვის შესახებ არსებული ფუნდამენტური კრიტიკა. ამ პირობებში, ქართული სასამართლოს მომავალი დიდწილად ლეგიტიმაციისა და ნდობის ახლიდან მოპოვებაზეა დამოკიდებული. რუტინული ტექნოკრატიული და ლეგალისტური ნაბიჯებით კი, ამის მიღწევა რთულად წარმოსადგენია. ეს მოითხოვს მთელი სისტემის დემოკრატიზაციისკენ გადადგმულ რადიკალურ ნაბიჯებს. როგორც არ უნდა იყოს რე-ლეგიტიმაციის პოლიტიკური და სამართლებრივი გზები, სტატიაში განხილული თეზისები მოწმობს, რომ ეს უნდა გაკეთდეს ფართო და მრავალმხრივი კონსენსუსის მეშვეობით. თანხმობაზე დაფუძნებულ სისტემურ გადაწყვეტებს შეუძლია შექმნას საზოგადოების ნდობის საფუძველი და ასევე, არ დაუშვას, ერთპარტიული, არადემოკრატიული და პოპულისტური ჩარევები სასამართლოში.